



შპს „ველკო“

“WELCO” LLC

შპს „ველკოს“ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება



ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	8
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
5. შემოსავალი	13
6. ძირითადი საშუალებები	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
10. პირობითი ვალდებულებები	14
11. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	15
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

	2019	2018
ამონაგები	5,865,059	3,643,096
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	-4,957,514	-3,096,234
საერთო მოგება	907,545	546,862
გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები	-348,051	-223,472
საოპერაციო მოგება	559,494	323,390
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-230,832	-180,349
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები	-59,255	-71,890
მოგება დაბეგვრამდე	269,407	71,151
მოგების გადასახადის ხარჯი	-2,858	0
მთლიანი სრული მოგება	266,549	71,151

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზურაბიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

	2019	2018
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	133,473	81,834
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211,118	66,309
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,969	1,195
საბიუჯეტო ზედმეტობა	81,893	54,598
	430,452	203,936
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	401,563	220,418
არამატერიალური აქტივები	1,745	17,045
	403,308	237,464
სულ აქტივები	833,760	441,400
საწესდებო კაპიტალი	7,000	7,000
გაუნაწილებელი მოგება	515,872	264,531
სულ კაპიტალი	522,872	271,531

მოკლევადიანი ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

59,576 66,354

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზურაყიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე

შპს „ველკო“



“WELCO” LLC

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

	2019	2018
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	133,473	81,834
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211,118	66,309
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,969	1,195
საბიუჯეტო ზედმეტობა	81,893	54,598
	430,452	203,936
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	401,563	220,418
არამატერიალური აქტივები	1,745	17,045
	403,308	237,464
სულ აქტივები	833,760	441,400
საწესდებო კაპიტალი	7,000	7,000
გაუნაწილებელი მოგება	515,872	264,531
სულ კაპიტალი	522,872	271,531

მოკლევადიანი ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

59,576 66,354

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზურაბიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე

შპს „ველკო“



“WELCO” LLC

გადასახდელი ხელფასები
მოკლევადიანი სესხები

8,690 50,485

2,873 7,646

71,139 124,485

გრძელვადიანი ვალდებულებები
გრძელვადიანი სესხები

239,749 45,383

239,749 45,383

სულ ვალდებულებები

310,888 169,868

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

833,760 441,400

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე

შპს „ველკო“



“WELCO” LLC

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

	2019	2018
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	81,834	12,715
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	423,299	62,866
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-329,315	-27,211
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-42,345	33,464
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	133,473	81,834

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვეკო დაფუძნდა 2010 წლის ნოემბერში. კომპანიის 60%-იანი წილის მესაკუთრეა მიხეილ წარია, ხოლო 40%-იანი წილის მესაკუთრეა დავით ზერაკიძე. კომპანია არის გადამზიდი და ეწევა საერთაშორისო გადაზიდვებს საქართველოდან სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართულებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი ს.ჭიაურელის ქN16, ბ22.

ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43/1.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება-ზარალი“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზურაყიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ავტომობილები	8-10
სხვა	5-10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების რეალიზაციის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზურაბიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში. მაგრამ, როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზურაბიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

5. შემოსავალი

	2019	2018
საერთაშორისო	4,128,223	2,766,717
საქართველო	710,018	426,596
სატერმინალო	495,648	226,019
შემოსავალი მოცდენიდან	529,309	223,563
სხვა	1,861	200
სულ	5,865,059	3,643,096

6. ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	2019	2018
შენობა-ნაგებობები	865	1,236
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5,780	6,991
მანქანა-დანადგარები	4,470	6,704
სატრანსპორტო საშუალებები	390,448	205,487
არამატერიალური აქტივები	1,745	17,045
	403,308	237,464

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	199,372	56,486
სხვა მოთხოვნები	11,746	9,821
	211,118	66,308

კომპანიის ფინანსური მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019	2018
ფული სალაროში	16,723	1,400
ფული საბანკო ანგარიშებზე	116,750	80,434
	133,473	81,834

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	59,576	66,354
გადასახდელი ხელფასები	8,690	50,485
სესხები	242,622	53,029
	310,888	169,868

10. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით. გადასახადები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები,

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

11. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი დებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

	2019	2018
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	116,750	80,434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211,118	66,309
სულ ფინანსური აქტივები	327,868	146,743

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარში)

ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:
დავით ზერაკიძე

ფინანსური მენეჯერი:
გიორგი კუტალაძე